საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

LEPL INTERNALLY DISPLACED PERSONS, ECOMIGRANTS AND LIVELIHOOD AGENCY

KA030696652364020

საქართველო, თბილისი 0186, მ. თამარაშვილის ქ.15 ა; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 1505;
15a M.Tamarashvili st., 0186, Tbilisi, Georgia; Hot line: (+995 32) 251 00 26; 1505;

№ 03/3212 **21 / თებერვალი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
მოადგილეს
ქალბატონ თამილა ბარკალაიას

ქალბატონო თამილა,

როგორც მოგეხსენებათ, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ჩართულია 2019 წლის 30 დეკემბერის საქართველოს მთავრობის N662 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის“ და მისი განხორციელების 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმაში. სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო პასუხისმგებელია წარადგინოს 2019 წლის ანგარიში აღნიშნული სამოქმედო გეგმის ამოცანა 3.4.1.1 („საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში“) შესრულების შესახებ. იქიდან გამომდინარე, რომ საარსებო წყაროების სამოქმედო გეგმის განხორციელებაში სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთან ერთად ჩართულია თქვენი უწყებაც, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ ინფორმაცია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 თებერვლის N404 განკარგულებით დამტკიცებულ „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის“ მე-2 თავის (დასაქმების ხელშეწყობა) პირველი პუნქტით (დასაქმების მომსახურება, სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით) გათვალისწინებულ შემდეგ აქტივობებზე: „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამაში დევნილთა ჩართვის ხელშეწყობა“ და „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურეთა განვითარების სახელმწიფო პროგრამაში დევნილთა ჩართვის ხელშეწყობა“. კერძოდ, აღნიშნულ აქტივობებზე, 2019 წლისთვის საპროგნოზო ბიუჯეტიდან („სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამაში დევნილთა ჩართვის ხელშეწყობა“ - 152 000 ლარი და „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურეთა განვითარების სახელმწიფო პროგრამაში დევნილთა ჩართვის ხელშეწყობა“ - 14 200 ლარი) რამდენია დევნილ ბენეფიციარებზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯი.

ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში ოპერატიულ დონეზე საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ბესარიონ სიმონიშვილი